ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №405411

ნომერი: AR188342

თარიღი : 24.10.2012

გაცემის თარიღი : 24.10.2012

გაცნობის თარიღი : 25.10.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქუჩიშვილი , N 18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ქანთარია პ/ნ 61001010638
- თბილისი დ. წყნეთი ტაბიძის ქ. N 11

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 ივლისის #279698 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 24 ოქტომბერს #არ188342

განცხადებით მომართა მოქ. მიხეილ ქანთარიამ და მოითხოვა სამსახურის 27.07.2012წ. #279698 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ: საცხოვრებელ ფართში შეცდომით შეყვანილი მანსარდის ფართის 356.5 კვ.მ.–ის გამოყოფა და გამორჩენილი დამხმარე ფართის 2.2. კვ.მ.–ის დამატება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა რომ სამსახურის 2012 წლის 27 ივლისის #279698 ბრძანებით ქ. თბილისში, ქუჩიშვილის ქ. N18 –სა და N20–ში, ამხანაგობა ,,როდენი''–ს, მოქ. ლ.ნათაძისა და მ. ნათაძის კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აღნიშნულ ინდივიდუალურ– ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში საპროექტო შენობის საცხოვრებელ ფართად შეცდომით იქნა დაფიქსირებული 4189.4 კვ.მ. ვინაიდან, მასში შესული იქნა +33.55 ნიშნულის გეგმაზე დატანილი, მანსარდის ფართი – 356.5 კვ.მ., რომელიც ასევე ცალკე იქნა დაფიქსირებული ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში. შესაბამისად, საცხოვრებელ ფართად მითითებული უნდა ყოფილიყო 4189.4 კვ..–ის ნაცვლად 3832.9 კვ.მ. ამასთან, წარმოდგენილი განმარტებითი ბარათიდან და შეთანხმებული არქიტექტურული ნახაზებიდან ირკვევა რომ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში გამორჩენილია 0.0 ნიშნულის ცოკოლის გეგმაზე არსებული დამხმარე ფართი – 2.2. კვ.მ., რომელიც უნდა აისახოს ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში. აღნიშნული კორექტირებების შესაბამისად ცვლილებას განიცდის ასევე ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირებული საერთო ფართი, რომელიც 8248.2 კვ.მ.–ის ნაცვლად უნდა იყოს 7893.9 კვ.მ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან, დამკვეთის მიერ არასწორად იქნა წარმოედგენილი საპროექტო შენობის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც დასტურდება შეთანხმებული არქიტექტურული პროექტითა და წარმოდგენილი განმარტებითი ბარათით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 2012 წლის 26 ივლისის #279698 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში შეიტანოს ცვლილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ,

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 ივლისის #279698 ბრძანებაში, კერძოდ: საპროექტო შენობის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   - საერთო ფართობი – 7893,9 კვ.მ
   - მათ შორის:
   - საცხოვრებელი ფართობი – 3832,9 კვ.მ
   - საოფისე ფართობი – 1130.3 კვ.მ
   - საზაფხულო ფართობი – 851.7 კვ.მ
   - მანსარდის ფართობი – 356.5 კვ.მ
   - კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი –529.9 კვ.მ
   - დამხმარე ფართობი – 2.2 კვ.მ
   - ავტოსადგომის ფართობი – 1190.4 კვ.მ
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 ივლისის #279698 ბრძანებით შეთანხმებული სხვა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;
3. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 ივლისის #279698 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში(მის. შარტავას ქ. №7ა) მისი ოფიციალური წესითგაცნობიდან 1 თვის ვადაში.